# სახალხო გაზეთი

№ 1175 ოთხშაბათი, 30 აპრილი 1914 წ. № 1175

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადმოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომლებიც კავკასიის გარეშე არიან, ან მათვარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალობარაკებმ შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“ (სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ. ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

სასტუმრო „ანონის“ პატრონი, იაკობ ტიმოთეის ძე ბონდარენკო თავის სასტუმროში მომუშავეებით, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 22 აპრილს გარდაიცვალა ამავე სასტუმროში მომუშავე

## ქრისტეფორე ალექსის ძე ენუქიძე.

პანაშვიდი იქნება გადახდილი დღეს, 30 აპრილს, სადამოს 5 საათზე, კალოუბანის ეკლესიაში. 300

## დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 30 აპრილს, გაიმართება

## არაჩვეულებრივი წარმოდგენა



რჩეულის პროგრამით და ახალი დებიუტანტებით; ხელამთ ცარკომანისა. დღეს ყოველ-დღიურ პროგრამის ექსცენტრიკ- ბ-ნი რომელები შეასრულებენ აქ ახალ ნომერს. გაუჯობესებულ დასაკრავებზე. დღეს გამოჩენილ ჯამბაზთა ოჯახობა რონსინისა შეასრულებენ გონებისათვის წარმოუდგენელ ახალ ნომრებს. დღეს დაჯილდოვებული მხედრის ქ-ნი ელენე მუტატოვისა გ მოვა საკუთრივ გაწვრთნილ ცხენით, რომელიც შეასრულებს მოდურ ცეკვას „ტანგო“. დღეს მხიარულ გუნების შემქმნელი ... სასაცილო ინტრეს. სწრაფი დეპეშა მიდის!..

ცირკის დირექტორი ფ. ა. იუპატოვი. გამგე ლ. მ. ხუნდაძე.

დასაწყისი სადამოს $8^1/_2$ საათზე. 294

## დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

## ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი. ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი იყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ. ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

## სამკურნალო

სამოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., სადამოთი 6—8 საათ. ვერა, ჯორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

## სანატორიუმი „რუსულ დაბოსი“,

აბასთუმანში.

გულხუტებისა, ხახის-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეწველობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1278 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—32. 1087

## ტფილისის ქალაქის ლომბარდი

გასცემს სესხს ძვირფას ნივთებზე წელიწადში სულ 11%, აქ შედის შენახვისა და დაზღვევის ხარჯიც.

ლომბარდში ნივთებს აბარებენ დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 ს.-მდე. სესხს, რამდენიც მნიშვნელობის მიხედვით, დაუბრკოლებლად აძლევენ. გამოსყიდულს გირაოს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

მაისის 1-იდან ლომბარდი გადავა ... მელიქ-აზარიანცის სახლში, ოლღას ქუჩაზე, ვერის ღელმართთან. 1150

მეორე ხარისხოვანი

## საქალებო 4-კლასიანი კერძო სასწავლებელი

ან. ჩიჩინაძისა.

სკოლაში მისაღებად გამოცდაზე ჩაწერა 1 მაისიდან დაიწყება. გამოცდა საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებაში მოხდება ... I და II კლასში—24 მაისს, მე-III კლას. 28 მაისს, მე-IV კლას—29 მაისს. ბებუთოვის ქუჩა, 17. 501

ტელეფ. ქართული თეატრი № 795.

უკანასკნელი წარმოდგენა.

ოთხშაბ., 30 აპრილს, ქარ. დრ. საზ. დასის მიერ წარ. იქნება ორიგ. პიესა:

## გადაჭრილი მუხა,

პიესა 4 მოქმ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყ. ზუსტად სად. რვა-ნახევარ საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1138 რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმ. ქართ. დრამ. საზ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მელიქოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი ზ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>ფიდლოროვი ე. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1 ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტატი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ზ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერაბიშვილი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>ფიდლოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ჭკუის | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოვი გ. ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| ვენერ. და კანის | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი $11$—$11^1/_2$ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით $11$—$11^1/_2$ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

მაზაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სადამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ. 1023

წამლობა „914“ და „606“.

## გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მასხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა. წამლობა „606“, „914“. 1088

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზიანებისა და ლოთებისათვის

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

## საგურამოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფობას. სწამლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ... სხეულის სხვა ნაწილებისა ... დილის 9—1 ს.-დე და სადამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. უფასოდ. ბებუთოვის ქ., 23. ტელეფ. № 7—32. 1516

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ქალი ნინო რცხილაძე. გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

ექიმი ს. გ. მამრაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალთა და სამშობ. სნეულებანი).

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. სად. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი ნიკოლოზ სვიმონის ძე ხერხეოვი

(ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი— დედათა და მშობიარეთა სნეულებისა) დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება მამა მისის ბინაზე, აფთიაქის ქუჩაზე. 1177

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და სადამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ქ. გორში

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი (დოკტორანტი).

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტ. და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1050

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის რეაქციით ... ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., სად. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი მ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## ქართული პრესა

პროგრესისტებმა დეპ. ჩხეიძის პასუხის გებაში მიცემის გამო ახალი კანონპროექტი შეიტანეს სათათბიროში დეპუტატთა სიტყვის თავისუფლების დასაცავად. ამის შესახებ „ჩვენი ერი“ სწერს, რომ სათათბიროს დღევანდელი დებულება ცხადად უზრუნველჰყოფს დეპუტატების თავისუფლებას, მაგრამ მთავრობა კანონის წინააღმდეგ იქცევაო.

„მაშასადამე აქ ბიუროკრატიის ალაგმვაა საჭირო, მისი კანონიერების ფარგალში ჩაყენება და არა ნათელი კანონის შეცვლა. თუ კანონის დარღვევა მთავრობის წარმომადგენელთა გუნებაზე და ქეიფზეა დამოკიდებული, მაშინ ვერავითარი კანონი ვერ უშველის საქმეს.

დღევანდელი სათათბირო კი ბავშვივით სჯის. ჯერაც ვერ შეუგნიათ ის, რაც გრიბოედოვმა უკვე კარგია და აღმასრულებელნი არიან ცუდნიო“.

და აი მოიწადინეს სამი ივნისის უკანონო ნაშობებმა, კარგი კანონის ცუდით შეცვლა. ეს კანონპროექტი, თუ იმ სახით გავიდა როგორც ეს ოქტომბრისტებს ჰსურთ, და აქ ეჭვი აღარ არის, დეპუტატები უარეს მდგომარეობაში ვარდებიან და სათათბიროს უმეტესობას ეძლევა უფლება—უმცირესობა მისგან „თავაშვებულად“ აღიარებული გააძევოს სათათბიროდან. ამგვარად ახალი კანონი ერთი ორად უფრო დიდ საფრთხეში აყენებს რუსეთის წარმომადგენლობითი დაწესებულებას. კანონს მთავრობა ყოველთვის ისე შეხედავს, როგორც მას ენებება. მაგ. წარმოვიდგინოთ დეპუტატმა სთქვა სიტყვა. სათათბიროს, 3 ივნისის სათათბირომაც კი ეს სიტყვა არ იცნო დასჯის ღირსად. მაშინ მთავრობა მიჰმართავს სასამართლოს და მასვე განუცხადებს, კიდევ უფრო მეტის უფლებით, რასაც დღეს ამბობს: დეპუტატებს სიტყვის თავისუფლება აქვთ, მაგრამ კანონის ფარგალშიო, გარდა ამისა სათათბიროს უფლება აქვს „თავაშვებული“ დეპუტატი დასაჯოს, სას თათბირო ჯიუტობს, ბოიკოტს უცხადებს მთავრობას, მაგრამ უკაცრავად, მთავრობა სუსტი არ გახლავს, მას ძალა და უფლება აქვს დასაჯოს თავხედი დეპუტატიო.

მაშასადამე სათათბიროს ცდა კანონის შეცვლისა დადასტურებაა მთავრობის მიერ კანონის შელახვისა, ალსარებაა მისი, რომ სათათბირო უძლურია მთავრობის უკანონო მოქმედება ალაგმოს და რომ იგივე სათათბირო მზად არის ყოველივე ანტიკონსტიტუციონური აქტი მთავრობისა დაადასტუროს, დააკანონოს“.

***

სიღნაღის საქალაქო არჩევნების გამო „აზრი“ სწერს:

სომეხი და ქართველი შოვინისტები სამკვდრო ირაზმებიან. ხიდი უკვე ჩატყდა, მაშ აბჯარი აისხით და მოწინააღმდეგეთ დაერიეთო, ქადაგობს „ხმა კახეთისა“ და მას

გურგს უმაგრებენ „ზაკავკაზსკაია რეჩი“ და „იმერეთი“. უთუოდ ამასვე იმეორებს სომხური ნაციონალისტური პრესა.

რაშია საქმე?

სდინედელმა სომხის ნაციონალისტებმა ქალაქი ორ საარჩევნო ნაწილად გაყვეს და ასე ხელოვნური გზით და მთავრობის დახმარებით დემოკრატიის ისედაც მცირე საარჩევნო უფლება კიდევ უფრო შეჰკვეცეს. ამით სომხის პლუტოკრატია თავის ბატონობას იცავს. ამის საპასუხოდ ქართველი და სომხის დემოკრატია გაორკეცებული ენერგიით შეეცდებიან მათი ბატონობის შერყევას.

ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება ენიკოლოფოვებს არ ძალუძთ“

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

28 აპრილის სხდომა.

**რომიანკო თავმჯდომარეობს.** მინისტრთა ლოჟაში სინოდის ობერ-პროკურორია. განსახილველია სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა. შეინი მოახსენებს სინოდის მიერ წარდგენილს ხარჯთ-აღრიცხვას, რაც 52914725 მანეთს უდრის; საბიუჯეტო კომისიამ ეს ხარჯი 178500 მანეთით გადიდა. გამოსთქვა სურვილი, რათა ობერ-პროკურორმა მინისტრთა საბჭოში შეიტანოს საკითხი, რომ სასულიერო სემინარიაში სწავლადამთავრებულთ ნება ეძლეოდეთ უმაღლეს საერო სასწავლებლებში შესვლისა; საჭიროდ დაინახა სასულიერო კონსისტორიების მსწრაფლი მოწესრიგება, სასულიერო წოდების პენსიების წესდების მსწრაფლი შემუშავება.

**კარაულოვი** შეეხო საეკლესიო ცხოვრების უარყოფით მხარეებს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მხოლოდ საეკლესიო კრების მოწვევას შეუძლიან ამ საქმის მოწესრიგება. იგი მოაგონებს ობერ-პროკურორს მისს განცხადებას, რომ საეკლესიო კრების მოწვევა ხემწიფის სრულს ნებაზეა, და ეკითხება, მოახსენეს თუ არა ხემწიფეს, რომ საეკლესიო ...

შემდეგი სხდომა ხვალ.

# სახელმწიფო საბჭო

28 აპრილის სხდომა.

სახელმწიფო საბჭო გოლუბევის თავმჯდომარეობით იხილავს სახალხო სწავლის მზრუნველობის წესდებას; 43 მუხლი ერთხმად მიიღეს 13 წევრის შესწორებით. მეორე მუხლი კი ურუსოვის შესწორებით მიიღეს. საერთო განხილვა ამ წესდების მაინც ვერ მოასწრეს და იგი გადაიდო შემდეგი სხდომისთვის, რომელიც 30 აპრილისათვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**„სახალხო გაზეთის“ დაჭერა.** გუშინ ნაშუადღევს 2 საათზე პოლიცია გამოცხადდა რედაქციაში და პოლიცმეისტერის განკარგულებით „სახალხო გაზეთის“ გუშინდელი ნომრები წაიღო.

ქალაქის გამგეობის თხოვნის თანახმად პოლიცმეისტერმა მეეზოვეებს დაავალა, დილაობით უიქველად გაასუფთაონ ხოლმე ქუჩაზე დადგმული სკამები.

**დაპატიმრება.** 28 აპრილს პოლიციამ გაჩხრიკა და დააპატიმრა ტრამვაიზე მომუშავე სამი მუშა; ერთი კონდუქტორია, ორი მომუშავე ხელოსანი: ცენტრალისა და მეორე პარკისა. სამივე ქართველია.

**წმიდა თამარ მეფის დღესასწაულს** პირველ მაისს ფერისცვალების მონასტერში მწირველი იქნება გორის ეპისკოპოსი ანტონი, მონასტრის კრებულის თანამწირველობით. იგალობებს ამავე მონასტრის სკოლის მგალობელთა გუნდი. წირვა დაიწყება დილის რვა საათზე.

**პოლიტეხნიკუმის გარშემო.** მეფის მოადგილემ გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა დაამტკიცა პოლიტეხნიკუმის მთავარ შენობისა და მისი წინა პირის გეგმა. ის კალამი, რომლითაც გრაფმა ხელი მოაწერა ქაღალდს, შენახული იქნება სამუნიციპალო მუზეუმში.

**მოგზაური ქრისტეფორე ნიკიტის ძე ოვანესოვი** 24 აპრილს დაატუსაღეს და 29 აპრილს კვლავ გაანთავისუფლეს.

სამშაბათს, 6 მაისს ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება **სახალხო სეირნობა** კარაპეტიანცის ბაღში (მიხეილის ქ. № 165). იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება სეირნობას და თავისის თანაგრძნობით ხელს შეუ...

სამრეწველო სკოლების მეთვალყურე დეკანოზი პაშკევიჩი ერევნის გუბერნიიდან ტფილისს დაბრუნდა.

ქალაქის სარევიზიო კომისია 2 მაისს ივანოვის გასესხებელ კასის რევიზიას მოახდენს.

**წმ. თამარ მეფის დღესასწაულისთვის**, რომელიც 1 მაისს დიდუბის ეკლესიაში იქნება გადახდილი, ხალხი დიდის ამბით მზადება. ამ დღესასწაულმა შარშანაც დიდძალი ხალხი მიიზიდა დიდუბის ეკლესიაში. იყვნენ ღამის მთევლნიც.

რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი **ნაკადული** (ბავშვთათვის № 8) შემდეგის შინაარსით: ყრმა იესო,—სურ. მზის სხივი,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა. პირველი ყვავილი,—ირ. ევდოშვილისა. ნათელა ხალხური ზღაპარი,—გალექსილი (გაგრძელება) დ. კასრაძისა. ჯვარი, ჯვარი,—მარ. გარიყულისა. სკოლის ზარი,—ლექსი ილ. გოგიასი. ენძელა,—ლექსი ი. ხუცეშვილისა. არწივები,—(თარგმანი) იტა ნაკაშიძისა. ამერიკელნი, პიესა ორ მოქმედებად (თარგმანი) გ. ლ—ძისა. გადავარჩინოთ ძველი ნაშთები,—ი. ანთაძისა. ტროადის ომი,—(გაგრძელება) ალ. მიქაბერიძისა. გასართობი: რებუსი და აღსნა.

**ახალ კლუბის** მამასახლისთა საბჭო უკვე შეუდგა კლუბის საზაფხულო სადგომის გამშვენიერებასა და გადაკეთებას. კლუბის გადასვლა საზამთრო შენობიდან საზაფხულოში განზრახულია 15 მაისისთვის.

**ფრინველთა მოშენება.** დღემდე ტფ. გუბერნიაში არსად არ მისდევენ მეფრინველეობას სამრეწველო მიზნით. ამ ნაკლის შესავსებად იაკობ ნათაძეს განუზრახავს, სამრეწველო მიზნით მოაშენოს შინაური ფრინველნი ს. ბულაჩაურში (დუშეთის მაზრა) თ-დ ხიმშიაშვილის მამულში.

**ახალი ბანკი.** კავკას. სავაჭ.-სამრ. ბანკის აქციებზე ხელის მოწერა უნდა დასრულდეს დღეს. ძირითადი თანხა უკვე სავსებით შეგროვდა და აქციების შეძენის მსურველი კიდევ მრავალია.

პროვინციის კომიტეტებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ ძირითადი თახა გადიდდეს და კიდევ რამდენიმე დღით გაგრძელდეს ხელის მოწერა. ამ საკითხს მთავარი კომიტეტი განიხილავს დღეს ორ საათზე, სამეურნეო ბანკში, სადაც დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა.

### საზოგადოებანი და კრებები

**სახალხო მზრუნველობის** წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც პეტერბურგში უნდა მოხდეს, ქალაქის საბჭომ თავის წარმომადგენლად აირჩია გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი. ბ-ნმა ათაბეგოვმა წასვლაზე უარი სთქვა ოჯახურ მდგომ...

**ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დღეისთვის არის დანიშნული. კრება ხალხის დაუსწრებლად მოხდება. განხილულ იქნება საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა.

### ქუთაისი

კვირას, 27 აპრილს, საღამოს 7 საათის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა ქუთაისის ახალი გუბერნატორი პოტულოვი.

სამოსწავლებლო ოლქის მიერ გამოგზავნილ დეპუტატსა და ქართული გიმნაზიის ადმინისტრაციის შეთანხმებით მერვე კლასის მოწაფეთა გამოცდა წერაში დაიწყო 29 აპრილს.

პეტერბურგში მყოფ საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარეს თ-დი მ. ფცლავასა და ზედამხ. კომიტეტის წევრს ბ-ნ ვარლამ ჭილაძეს ამ დღეებში მოელიან ქუთაისში.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ მოტანილი სიმინდი სულ დარიგდა. ამ დღეებში ხელახლა მოელიან რამდენიმე ვაგონ სიმინდს გურიიდან.

ამ დღეებში რაჭაში გაიგზავნა დამშეულთა დასარიგებლად ერთი ვაგონი სიმინდი ტომრებით.

ამ დღეებში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ 2 ათასი ფუთი სიმინდი გაიგზავნება შორაპნის მაზრაში დამშეულთა დასარიგებლად. საოცარ გაჭირვებაშია სოფლის ღარიბი აზნაურები, რომელთაც მთავრობა სესხს არ აძლევს.

ქუთაისის გუბერნატორმა მუხიანის სამკითხველოს გამგედ დაამტკიცა ქ-ნი ეკატირინე ივანეს ასული ცქიტიშვილისა.

ქუთაისის ოლქის სამოსამართლომ გადასდვა საქმე რაფაელ სიხარულიძისა, რომელსაც ცოლის მოკვლა ჰბრალდება.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ 25 აპრილს სასამართლოს შენობაში მომხდარი მკვლელობის შინაარსი დეპეშით აცნობა უმაღლეს მთავრობას.

ქუთაისის გუბერნატორმა წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილების გამგეობას ნება დართო ოზურგეთის მაზრის სოფელ აცანაში გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო რომლის პასუხისმგებელ გამგედ დანიშნულია მღვდელი მ. ს. ტუსკია.

# ტფ. ქალაქის საბჭო

28 აპრილის კრება.

კრების დაწყების წინად ხმოსანთა კერძო თათბირია საპოლიტეხნიკუმო ადგილის მოწესრიგების შესახებ.

კრება იწყება საღამოს 9 საათზე ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.** კრება ისმენს და უცვლელად ამტკიცებს წარსულ ...

**ქალაქი და საპოლიტეხნიკუმო კომიტეტი.**

**თავმჯდომარე** კრებას აცნობებს მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის ცნობილ დადგენილებას, რომლითაც კომიტეტი თანახმაა ქალაქისაგან 720,000 მან. მიიღოს აღთქმულ 150 დესეტინა მიწის ნაცვლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ფული კომიტეტს გადაეცეს ორის წლის განმავლობაში და საპოლიტეხნიკუმო ადგილი თვით ქალაქმა გაამშვენიეროს და გაჰყიდოს; ის ზედმეტი ფული, რომელიც 720,000 მან. აღემატება, კომიტეტსავე მისცეს იმ ფულის გამოკლებით, რომელიც ქალაქს დაეხარჯება ამ მიწების გამშვენიერებაზე გაყიდვამდე.

საბჭო ეთანხმება კომიტეტის პირობებს და თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა ადგენს, დაავალოს სატეხნიკო და საადგილ-მამულო კომისიებს, შეიმუშაონ გასაყიდ ადგილის მოწესრიგებისა და გამშვენიერების პროექტი.

**ფარმაცევტთა ამხანაგობა და ქალაქი.**

როგორც მკითხველთ თავის დროზე ვაცნობეთ, ქალაქსა და ფარმაცევტთა ამხანაგობას, რომელსაც იჯარით აქვს აღებული საქალაქო აფთიაქი გოლოვინის პროსპექტზე, სასამართლოში დავა აქვთ. ქალაქი ამხანაგობას უჩივის საიჯარო ფულს. ფარმაცევტთა ამხანაგობა კი ქალაქს ედავება, აფთიაქი ქალაქმა რიგიანად არ მოგვიწყო და ამის გამო დიდი ზარალი გვაქვსო. საქმე სასამართლოში გრძელდება და დავა, რომელიც დიდიხანია დაიწყო, დღესაც გამოურკვეველია.

**ხმ. ი. ა. იოანისიანი.** შემთხვევით დავესწარ სასამართლოში ქალაქისა და ფარმაცევტთა ამხანაგობის დავის გარჩევას. საქმის გარჩევა გადაიდო. როგორც შთაბეჭდილება მივიღე, ფარმაცევტთა ამხანაგობას ყოველგვარი ღონისძიება მიღებული აქვს, რომ საქმე ხელოვნურად გააჭიანუროს, რათა საიჯარო ფული არ გადაიხადოს. საჭიროა ქალაქის გამგეობამ უკიდურესი ღონისძიება იხმაროს, რათა საქმეს ჩქარა ბოლო მოეღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აფთიაქი წლობით დარჩება ფარმაცევტთა ამხანაგობის ხელში და ვერც ფულს მივიღებთ.

გამგეობა აცხადებს, რომ ამ საკითხის განხილვას უკვე შეუდგა და ჩქარა მიიღებს შესაფერ ღონისძიებებს.

**ხორცის ნიხრი.**

ხორცის ნიხრის საკითხი კვლავ ხანგრძლივ და ცხარე კამათს იწვევს. როგორც ვწერდით, განზრახულია სრულიად გაუქმება ნიხრისა.

**თავმჯდომარე.** ხორცის გაუქმების შესახებ გამგეობის წევრმა მ. ა. ჯაბარმა ვრცელი მოხსენება შეადგინა. მოხსენება გამგეობამ გულდასმით განიხილა და მ. ა. ჯაბარს დაეთანხმა, მხოლოდ საჭირო გახდა ზოგიერთ პირობების შექმნა, რომელშიაც უნდა სწარმოებდეს ხორცის თავისუფალი ვაჭრობა, რათა ყასბებმა არ ისარგებლონ ნიხრის გაუქმებით და ხორცის ფასს ძალიან არ აუწიონ. სრულს, დასაბუთებულ მოხსენებას გამგეობა საბჭოს წარმოუდგენს ორის კვირის შემდეგ. ეხლა კი გამგეობას საჭიროდ მიაჩნია, ძროხის ხორცის ნიხრს ორი კაპეიკი მოუმატოს, ე. ი. გირვანქა 15 კ. ნაცვლად 17 კაპ. ვახადოს.

**ხმ. რუსანოვი.** ვინა ყიდულობს ხორცს ნიხრის კვალობაზე?

**თავმჯდომარე.** მე მგონია მხოლოდ ის, ვინც ცუდს ხორცს ყიდულობს.

ამის შემდეგ ხმოსნები აღნიშნავენ, რომ ხორცის ნიხრი ტყუილად არის დაწესებული, რადგანაც მას არც ერთი ყასაბი არ ემორჩილება; რიგიან ხორცს მცხოვრები 20 კ. ნაკლებ ვერ იყიდის; ქალაქის განაპირა უბნებში კი ხორცი 23 კაპეიკადაც იყიდება.

**ხმ. გოთუა.** რითია გამოწვეული ხორცის სიძვირე? ამის შესახებ გამგეობას აქვს თუ არა რაიმე ცნობები?

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ხმა გავრცელდა და ეს ხმები გაზეთებშიაც დაიბეჭდა, რომ ხორცის გაძვირება ახალმა სასაკლაომ გამოიწვიაო. ეს სიმართლეს მოკლებულია. ახალმა სასაკლაომ გირვანქა ხორცს ხარჯი მოუმატა მხოლოდ კაპეიკის ერთი მეშვიდედით. ამას გარდა ახალ სასაკლაოში დაკლულ საქონლის ხორცი ღირსებით უკეთესია და ტყავიც კარგი გამოდის.

**ხმ. ბაბოვი.** გამგეობა აქ გვეუბნება, ორის კვირის განმავლობაში ხალხმა ყასბებს ორი კაპეიკით მეტი აძლიონ დღევანდელ ნიხრზეო. მე არ მესმის, ასე რად უნდა მოვიქცეთ? ნიხრის მომატებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, რადგანაც გამგეობას არავითარი დასაბუთებული მოხსენება არ წარმოუდგენია. ჩვენ გვაშინებს გამგეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საშიში მდგომარეობა შეიქმნებაო. სთქვით პირდაპირ, რისა გეშინიანთ? ყასბები გაიფიცებიან? დეე, გაიფიცონ. ჩვენ ამისთვის უნდა მოვემზადოთ. ჩვენ თვით შეგვიძლიან მცხოვრებთ საკუთარის ძალღონით ვაძლიოთ ხორცი გაფიცვის დღეებში. მე კარგად ვიცი, რომ ყასაბნი პოლკებს ხორცს აძლევენ 12—13 კაპეიკად, ჩვენგან რატომ 15 კაპ. არა ჰყოფნით?

საბჭო 45 ხმით წინააღმდეგ ხუთისა უარჰყოფს ნიხრის მომატებას.

**შიოევისეული სახლის ჩამონგრევის გამო.**

როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, შემწეობა აღმოუჩინოს სახლის ჩამონგრევის დროს დაღუპულ დანიელიანცის ოჯახობასა და მძიმედ დაშავებულ მსახიობს ვიქტორ მატარაძეს. დადგენილება დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა, მაგრამ უკანვე იქნა დაბრუნებული ქალაქის გამგეობის თხოვნისამებრ. ამის მიზეზი შემდეგი იყო: საიურიდიო კომისიამ ...

# ხიზანთა ბედი

ეს ერთი წელიწადია, რაც ქართველ საზოგადოებაში ხიზნების საქმე ამბად დატრიალდა; ბჭობენ და იძიებენ ხიზნობის ავ-კარგს.

კავკასიის უმაღლეს მთავრობამ წესები შეიმუშავა ამ საქმის გადაწყვეტისა და სახელმწიფო სათათბიროს წარუდგინა, რათა ამ წესებს კანონის ტანსაცმელი ჩაეცვას.

ამ ამბით ქონებრივად დაინტერესებულ მხარედ ჩაითვლებიან: თავადაზნაურობა და გლეხი-ხიზნები.

ქართველი საზოგადოებაც ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი გემრიელ ლუკმას თავად-აზნაურობას უთლის, მეორე ცდილობს ამ „მგლისა და ცხვრის შეჯახებიდან“ ცხვარი ცოცხალი გადარჩეს.

ჩვენი მიზანია მკითხველს მარტივად, გასაგებათ მოუყვროთ ხიზნობის ძველი ამბავი, გავშინჯოთ ყოფილა თუ არა სხვა ქვეყნებშიაც ამგვარი ურთიერთობა თავადსა და გლეხის შორის, ავწეროთ უბედობა ხიზნებისა.

### I

ვინ არის ხიზანი?

ხიზანი სხვის მფარველობის, სხვის კალთის ქვეშ მყოფი გლეხია. ხიზანი ძველი ქართული სიტყვაა და ეხლაც ამ მნიშვნელობით იხმარება.

თუ გლეხი პირად ყმობისგან ცოტად თუ ბევრად თავისუფალია, მემამულის მიწაზე საუკუნო მფლობელობის წესით ცხოვრობს და მუდმივათ ერთხელ დაწესებულ უცვლელ გადასახადს იძლევა,—შეიძლება ხიზნათ ჩაითვალოს.

ხიზნები მოსახლეობენ ქართლში, თიანეთის მხარეს, იმერეთსა და სამეგრელოს. იმერეთში „სტუმარს“ ეძახიან, სამეგრელოში — „მინდობილს“. ეს სამი სახელი: „ხიზანი“, „სტუმარი“ და „მინდობილი“ თითქმის ერთი და იგივეა, ერთმანეთს მნიშვნელობით არსად წაუვლენ.

მიზეზი ხიზნად შესვლისა ბევრი რამ არის. ძველი საქართველო იმდენად მოუწყობელი იყო, სახელმწიფოებრივი ძალა იმდენად უსუსური, რომ ძალმომრეობა პატივმოსილი დაიარებოდა და გლეხის მდგომარეობას აუარესებდა.

მეორე საუკუნიდან როცა გავცქერით მეთვრამეტეს, თვალებზე რაღაც ლიბრი გვეფარება და ძნელად ნამდვილ მდგომარეობის დანახვას გვიძნელებს. მაშინდელი ყველაფერი გვენატრება: სიხარული, ტანჯვაც. მოგვწონს წესი და უწესობაც. ასე იცის თავისუფლების დაკარგვამ, ასეთია აზრი ტყვისა, პატიმრისა!

მეთვრამეტე საუკუნეში პატარა საქართველო, სულ ერთი მილიონი ხალხი, გაყოფილი იყო ორ სამეფოდ და სამ სამთავროდ: ქართლ-კახეთი და იმერეთი და სამთავროები: სამეგრელო, გურია და სვანეთი. მთელი ქვეყანა დანაწილებული იყო თავად-აზნაურობის სამფლობელოდ. თავისუფალი იყო მხოლოდ მთა და ქიზიყი.

თავადი ყველაფრის პატრონი იყო და მბრძანებელი, იმის კუთვნილება იყო: მამული, გლეხი—ყმა, ქმნა სამართლისა, სარდლობა და გამგებლობა. მის საშინაო საქმეებში მეფესაც კი უჭირდებოდა ჩარევა. ერთი სიტყვით, თავადი პატარა მეფე იყო თავის საბძანებელში, ყველაფერს თავის ნება-სურვილზე აკეთებდა, ბევრჯელ მეფესაც ეურჩებოდა და ეს ურჩობა საქართველოს მეტად ძვირად უჯდებოდა.

წარსულის ამბავი უკეთ დარჩენილია ქართლისა. ვერც კახეთისას, ვერც იმერეთის ამბავს ზედმიწევნით ვერ გეტყვით, როგორც ქართლისას. ეს არც გასაკვირი უნდა იყოს: ქართლში ცუდდა საქართველოს ცხოვრება, ეს გული იყო ჩვენი ქვეყნისა, ავიცა და კარგიც სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა ამ მხარეს დააჩნდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აკვანი ქართლმა დაარწია; აქ გაიზარდა, აქ დავაჭკაცდა ჩვენი საკუთარი ბედი და, სამწუხაროდ, აქვე გაითხარა საფლავი. პირველმა ქართლმა გამოიგლოვა ჩვენი ერთობა, ერთ ქირსა და ლხინში სიკვდილ-სიცოცხლე. აზრმა განთვითეულებისამ, შენ-ჩემობის და განცალკევებისამ აქ დაიბუდა, აქ ითქვა პირველად ის წყეული სიტყვა: ბატონისა და ყმის სისხლი სხვა და სხვააო.

საზარელ სურათს წარმოადგენდა მეთვრამეტე საუკუნეში ქართლი: დიღმის ველი, მუხრანის მხარე—ბაგრატიონ-მუხრანელებს; არაგვის ხეობა ერისთვებს, ქსნისა—მეორე ერისთვებს; მტკვრის გაღმა მხარე თარხნიშვილებს; ზემოთ ციციანთ; ლეხურის ხეობა გორამდის — ამილახვრებს, ზემო ქართლი მაჩაბლებს, ფალავანდი—ფავლენიშვილებს და ამირეჯიბთ. აი, ეს ათი გვარი, ერთმანეთში მოშუღლე, მუდამ ერთმანეთზე გადაკიდებულნი, რომელთა შორისაც საქართველოს მეფეებმა გაჰყვეს ქართლი.

ყველა ამათგანის სამფლობელო იმდენად განცალკევებულ საკუთრებას წარმოადგენდა, რომ ამილახვრებისა და მუხრანელ ბაგრატიონებს შუა საბაჟო იყო ამართული. ს. კასპიდან თუ ლეხურის ხეობას შეჰყვებით, ლამისყანის გადმოსწვრივ, თქვენის თვალითა ჰნახავთ ეხლა გაუქმებულ საბაჟოს.

ახლა ჩამოთვალეთ აზნაურები, და დაინახავთ, რომ ამდენ მუქთა ხორა ხალხს რჩენა უნდოდა, ყველა ესენი გლეხის გამხდარ ზურგს აწვნენ სარჩენლად; შრომა, გარჯა, მხნეობა თავადსა და აზნაურსაც სამარცხვინოდ მიაჩნდათ.

ვერც დავთვლი მარტო ქართლის აზნაურებს: გედევანიშვილი, ტუსიშვილი, გურამიშვილი, ავალიშვილი, გვარამაძე, ტატიშვილი, სულხანიშვილი, აბაზაძე, ბერძნიშვილი, ზაალიშვილი, რატიშვილები, ფურცელაძეები, კალატოზიშვილები, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, კობიაშვილი.

ახლა ამათ დაუმატეთ სამღვდელოების ხარჯი, მეფის ხარჯების გაძღოლა, მუდმივი ომიანობა, როცა ერთ თავადზე ასი და ორასი გლეხი ზარალდებოდა, დატაკდებოდა, თუ არა კვდებოდა, სულ შიშსა და ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა და მაშინ იქნება ცოტათი მაინც მიხვდეთ საშინელ წუხილს გლეხისას. „ცოტათი მაინც-მეთქი“, რადგან გლეხის ჭირვარამის გაგება, გაზიარება და ნუგეშის ცემა მხოლოდ იმ კაცს შეუძლიან, ვისაც ოდესმე მაინც განუცდია საზარელი მდგომარეობა ყმისა, მონისა!

ქართლი მუდამ ღატაკი იყო საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან შედარებით. ღატაკია ეხლაც. ეს ნუ გაგიკვირდებათ! გასაკვირია ის, თუ სული როგორ შერჩა აქამდის ქართლელ გლეხსა, მეორე საუკუნის კარებს ცოცხალმა როგორ მოაღწია.

მიზეზიც ხიზნობისა ეს არევ-დარევაა ჩვენი ქვეყნისა.

ზოგნი ამტკიცებენ, ვითომ ხიზნობა უწყინარი, გლეხობისთვის სასარგებლო საქმე ყოფილიყვეს. ჩვენ ფაქტებით დავამტკიცოთ, რომ მდგომარეობა, სადაც ერთი ბატონია, ყველაფრის მქონე და მეორე კი მონა, ღატაკი,—უწყინარსა და გლეხისთვის სასარგებლოს არაფერს შეჰქმნის.

მიზეზი გლეხის გახიზნებისა ბევრია და მათში უმთავრესი შემდეგნი: 1. თუ თავად-აზნაურის ოჯახი გაიყრებოდა, ერთ მემკვიდრეს მიწა ერგებოდა და მეორეს უმამულო ყმა, ეს ყმა პირველი მემკვიდრის ხიზანი ხდებოდა.

2. ბატონ-ყმურ საქართველოში ჩვეულება იყო თავადის ქალისთვის მზითევში რამდენიმე ყმა გაეყოლებინათ, ისე როგორც ეხლა უბრალო ნივთს ატანენ. მზითევში მოყოლილი გლეხი ქმრის ხიზანი იყო და ცოლის ყმა.

3. თავადის ან აზნაურის მოვალე თუ ვალში რამდენსამე ყმას მიიღებდა და უმიწოდ, ეს გლეხი ხიზანი იყო მემამულისა და მოვალის ყმა. რუსების შემოსვლით ქართველ თავად-აზნაურობის ცხოვრება გამოიცვალა. თუ მე-18 საუკუნეში თავადი თავის ბინას არ შორდებოდა და უხარჯო ცხოვრებას ეწეოდა, მე-19 საუკუნეში იძულებულ ჰყვეს სახელმწიფოსთვის სამსახური გაეწია, ტფილისს ან ქუთაისს მოჰხვედროდა, გაევროპიელებულიყო, მეტი ეცხოვრა. ვორონცოვის ნაჩვენებ ფუფუნების გზაზე ჩვენი თავადობა ისე წავიდა, უკან არც კი მოუხედნია. ყველაფერი ჰქონდა თავადს ფულის გარდა, ფულსაც „პრიკაზი“ ან ტფილისის ვაჭარი ასესხებდა. ამ ვალს თუ ისტუმრებდა თავადი, ისევ ყმებით ან და მამულით. ვალში მიცემულ ყმას ხიზნათ იტოვებდა, რადგან მოვალეს უმამულო ყმა რად ეპრიანებოდა.

4. მკითხველს ეცოდინება, რომ 13 ღვინობისთვეს 1864 წელს საქართველოში ყმები გაანთავისუფლეს. გლეხს მიწა მისცეს „ნადელად“, 3—5 დესეტინამდე. ამ მიწას გლეხი თავის ნება-სურვილზე ხმარობს და მემამულის სასარგებლოდ გადასახადს იხდის, მანამ არ შეისყიდის. ის მემამულე, რომელსაც 120 დღიურზე ნაკლები მამული ჰქონდა „ნადელის“ მიცემისგან თავისუფალ იყო. ამგვარ გლეხს „დროებით-ვალდებული“ ერქვა, რადგან ადრე თუ გვიან უნდა გამოესყიდათ ეს მიწა. მართლაც, ამას წინად, 20 ქრისტიშობისთვეს 1912 წ. სახელმწიფო სათათბირომ დააკანონა სანადელო მიწების გამოსყიდვა მთავრობის დახმარებით. ის გლეხი კი, რომელსაც მიწა არ მიეცა სანადელო მაინც, იძულებული გახდა ხიზნად შესულიყო მემამულესთან.

5. მე-18 საუკუნეში და წინადაც საქართველომ მშვიდობიან ცხოვრების ანაბანაც არ იცოდა. თუ სპარსელების ან ოსმალოს ჯარის შემოსევას როგორმე რამდენიმე კვირით ადრე გავიგებდით და მოვემზადებოდით, შეიძლება, მეზობელ სოფელში წასულსა ან და სოფლის ბოლოს მხვნელს და მთესველს ლეკის ჯარის ბრბო თავს წასდგომოდა და სიცოცხლე გამოეწარებინა. ეხლანდელი კაცი ამ თავხედობას ვერც წარმოიდგენს, მაგრამ მაშინ ყველგან ესე იყო. ჩვენ სახელოვან მწერალს დავით გურამიშვილს ს. ლამისყანასთან, შუაგულ ქართლში, ტფილისიდან სულ 40 ვერსის მანძილზე, ყანაში მიმავალს ლეკები დაეცნენ და ტყვეთ წაიყვანეს. ლეკები მხოლოდ იქ ვერ მიჰბედავდნენ, სადაც ძალა ეგულებოდათ, ძალა კი მაშინ თავადსა ჰქონდა. ციხე-კოშკი, მაგარი გალავანი და 50—60 კაცი შეიარაღებული საკმარისი იყო, რომ იქ თუნდ 100 კაცი ლეკს ვერ მიებედნა.

თავ-დაცვის საშუალებას მოკლებული წვრილი მესაკუთრე იძულებული იყო ომიანობისა და ხშირად ზემოაწერილ მშვიდობიანობის დროს თავადისათვის ეთხოვნა შველა და მფარველობა. მას შეეხიზნებოდა. ეს განსაზღვრულ უცვლელ გადასახადს იძლეოდა და თავადიც მტრისგან დაიცავდა. ხიზნის გადასახადი უც-

სხვა დაზარალებულთა (ამირაჯიბისა და ჯავროვის) საქმის განხილვის დროს შემთხვევით ყურადღება მიაქცია ქალაქის გამგეობისა და შიოევისეულ სახლის აშენებელ მოიჯარადრის ალაჯანოვის შორის დადებულ ხელშეკრულობას. კომისიამ ამ ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ქალაქი კი არ არის მოვალე დაზარალებულთ ჯილდო მისცეს, არამედ მოიჯარადრე.

გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი კრებას მოახსენებს საქმის ვითარებას და დასძენს: უეჭველია ქალაქსა და მოიჯარადრის შორის დავა სასამართლოში დიდხანს გასტანს; დანიელიანცის ოჯახობა და მსახიობი მატარაძე დიდს ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან. ამიტომ გამგეობას ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია, მათ შემწეობა ახლავე მისცეს იმ ფულიდან, რომელიც მათ შემდეგში აუცილებლად მოიჯარადრემ ან ქალაქმა უნდა მისცეს.

**ხმ. იოანისიანი** ახლა რომ მათ დახმარება მივცეთ, მაშინ ჩვენს დანაშაულს ჩვენ თვითვე აღვიარებთ და მოიჯარადრესთან დავაში ხელს შეგვიშლის.

**ხმ. ბაბოვი.** მას არ ეთანხმება და თხოულობს დაზარალებულთა დახმარება მიეცეთ.

**ხმ. გოთუას** უკვირს, რომ ისეთი ძვირფასი დოკუმენტი, როგორიც ხელშეკრულობაა, გამგეობამ საიურიდიო კომისიას დროზე არ გადასცა და მხოლოდ შემთხვევით ჩავარდა კომისიის ხელში. დასასრულ ხმოსანი, თხოულობს, რომ დახმარება მიეცეს დანიელიანცის ოჯახობას, რომელსაც მარჩენელი დაეღუპა და მსახიობს ვიქტორ მატარაძეს, რომელიც ამ ჟამად მძიმედ ავად არის და მისი მორჩენის იმედი აღარა აქვთ.

კამათი დიდხანს გრძელდება.

დასასრულ საბჭოადგენს:

გადასინჯოს თვისი პირველი დადგენილება, რომლითაც შიოევისეულ სახლის ჩამონგრევის დროს დაღუპულ დანიელიანცის ოჯახობასა და მძიმედ დაშავებულ მსახიობს მატარაძეს ქალაქის კასიდან შემწეობა უნდა აღმოჩენოდა.

ამ რიგად ეს საკითხი გამოურკვეველი დარჩა. საბჭო მომავალ კრებაზე საკითხს გადასწყვეტს. ამასთანავე გამოარკვევს, რა სახით არის შესაძლებელი დახმარების აღმოჩენა დაზარალებულთათვის, რომელნიც ამ ჟამად ნივთიერ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი.

## პ. გელეიშვილის ლექცია ქუთაისში

გაზეთი **„ჩვენი ერი"** ასე აგვიწერს ამ ლექციაზე მომხდარ უწესოებას:

„საღამოს 9 საათზე თეატრი და განსაკუთრებით ქანდარა ხალხით გაიჭედა. ალბად ეს იყო მიზეზი, რომ „ლექტორმა" რიხიანად მიმართა საზოგადოებას:—რომ ჩემი ლექცია ფრიად საინტერესოა ხალხისთვის, ამას ეს აურებელი ხალხი ამტკიცებსო" და განაგრძო. მოკლედ შეეხო ილიას ნაწარმოებთა მხატვრულ სახეს და გადავიდა პუბლიცისტურზე, მაგრამ ხალხში გაისმა „ხვეულება". ლექტორი ცოტა არ იყოს შეკრთა... დროებით დარბაზი მიწყნარდა. ლექტორმა განაგრძო: „ილია როგორც ფეოდალიზმის მოტრფიალე"... ჯერ არ დაესრულებინა, წინადადება, რომ რომ გაისმა სტვენა, ასტყდა ძლიერი ხმაურობა, შეიქნა არეულობა, საქმეში ჩაერია პოლიცია, მაგრამ ვერა გააწყო რა. ხალხს ვიღაცამ წინადადება მისცა დაწყნარებულიყო, ხალხიც შეჩერდა, ჩამოვარდა დუმილი. ლექტორმა ძალა მოიკრიფა, და დაიწყო ილიას დახასიათება, როგორც ხმლისა და გუთნის იდეოლოგის, და ჯერ კიდევ რამოდენიმე სიტყვაც არ ეთქვა, რომ ასტყდა ხმაურობა... აღელვებული ხალხი ვეღარაფერმა შეაკავა, გაისმა სიმღერა:—

> სულ გადამხმარა მდელო,
> მთებიც მობურვილია.
> მამულის მოღალატევ,
> რათ მოჰკალი ილია!

ზეზე წამოდგა პარტერი, ქანდარაზე მოითხოვეს სიმღერის განმეორება. ლექტორისადმი, რომელიც ჯერ კიდევ გაფითრებული და გაყვითლებული სცენაზე იდგა, გაისმა ეპიტეტები:—მოღალატევ, იუდა, ჩვენი დროის ჰეროსტრატე! თეატრი საპოლიციო ძალებით აივსო, მაგრამ აღელვებულ ხალხთან მაინც ვერა გააწყეს-რა. ჩამოუშვეს ფარდა. შეაყენეს ოქმი და შესწყვიტეს ლექცია...

ხალხის გრგვინვასა და გაბრაზებას საზღვარი არ ჰქონია. გამოერია ორიოდე კაცი, რომელთაც სკადეს ლექტორის დაცვა, მაგრამ ცდამ ვერაფერი გაარა. თეატრს პოლიცია შემოერტყა გარს, ჩადგა გამოსასვლელ კარებში და სათითაოდ დაიწყეს გადაწერა და სანამ უკანასკნელი კაცი არ გამოსულა თეატრიდან, თეატრში ხმაურობა და პროტესტები არ შეწყვეტილა. თეატრიდან გამოსულმა ხალხმა თეატრის წინ ქუჩაზე მოიყარა თავი, სურდათ ლექტორს აქაც ღირსეულად გამასპინძლებოდნენ, მაგრამ ლექტორი მიიმალა, ცამ ჩაყლაპა თუ წყალმა, მისი ასავალ-დასავალისა ვერაფერი გაიგეს. ქუჩაში შეკრებილი ხალხი კიდევ რამდენიმე ხანს ილოდა და რა კი დარწმუნდა, რომ საქმე აღარაფერია, დაიშალა".

## მუშათა ცხოვრება ჩვენში.

**ქ. ბათუმი** (ნორმალური დასვენება).

სამრეწველო მხრით განთქმული ქალაქი, ამ ჟამად ეკონომიურ კრიზისს განიცდის.

განვლილ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ბათუმის ნოქრებმა, სახელოსნოებში და სხვა და სხვა დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეებმა ბევრი ახალი უფლება და გაუმჯობესება მოიპოვეს, მაგრამ დღეს ძველიც დაკარგეს.

1905 წლამდე შემუშავებულ „ნორმალურ დასვენებას" ბოლო მოეღო და ისინი დღეს ძლიერ ცუდ პირობებს განიცდიან. 1902 წ. ბათუმის სამხედრო ოლქის გუბერნატორმა სავალდებულო გახადა ბათუმში ერთგვარი ნორმალური დასვენების წესები. ამ დადგენილებით ხე-ტყის და ამგვარ ქარხანა-საწყობებში, აგრეთვე სავაჭრო მაღაზიებში, მოსამსახურენოქრებს უნდა ემუშავათ 11 საათი, „კანტორებში" მოსამსახურეთ 10 საათი, სასტუმროების ხელზე მოსამსახურეებს 15, რესტორან-სამიკიტნოების —16 საათი, სხვა და სხვა დარგის დაწესებულებებში 12 საათი, მხოლოდ თორნეებში მომუშავეთა დრო არ იყო განსაზღვრული. თანამედროვე ბათუმის ცხოვრებაში ეს აღარ არსებობს და ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა. ხაზეინები თავაშვებულად მოქმედებენ და არავითარი პასუხისმგებლობა მათ არ აწევთ.

ამ ბოლო ხანებში თვით პოლიციის ყურადღებასაც იქცევს ხაზეინების გადაჭარბებული თვითნებობა.

გუბერნატორმა ნება დართო, ხელოსნებს და მათ მოსამსახურეებს შეეყრული კრება მოეხდინათ, მაგრამ უკვე საკმარისი დრო გადის, რაც ასეთი ბრძანება გამოვიდა, ყურს კი არავინ იბერტყავს.

ხელოსან-მოსამსახურეები გულზე ხელდაკრეფილნი შეიგებიან ყოველგვარ მონურ მდგომარეობას და ღრმა ძილში განისვენებენ. („აზრი").

### რუსეთი.

**საპროტესტო გაფიცვა.**

სათათბიროს 21 დეპუტატის 15 სხდომიდან გამორიცხვის გამო საპროტესტო გაფიცვა ძლიერდება. ეხლა გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს წვრილი მწარმოებლების მუშებმაც, რომლებიც პეტერბურგის ქარხნების მუშათა საერთო გამოსვლაში მონაწილეობას არ იღებდნენ. გაფიცულთა უმრავლესობას ლითონის წარმოების მუშები შეადგენენ. ვიბორგის მხარეს პეტერბურგის სალითონო ქირხნის მუშები სახელოსნოებში თავისს დროზე მივიდნენ, მაგრამ მუშაობა კი არ დაუწყიათ. ისინი მუშაობის მაგიერ გაფიცვის საკითხს არჩევდნენ. ზოგიერთი გაფიცვის წინააღმდეგი იყო. გაფიც. ის მოწინააღმდეგენი უთითებდნენ მ... ხლობელ ლოკაუტზე და მომავალ 1 მაისის გაფიცვაზე და ურჩევდნენ დეპუტატების გამორიცხვის გამო სხვა გვარი პროტესტი ვიხმაროთო, მაგრამ მუშათა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ისინი იფიცებიან და ქარხნიდან წავიდა; 10 საათზე ქარხნიდან უკვე 3000 კაცი წავიდა, რის შემდეგაც ადმინისტრაციამ დანარჩენი მუშებიც დაითხოვა და მანქანებიც შეაჩერეს.

პოლიუსტროვის სანაპიროზე ერთს დროს გაიფიცნენ მუშები როზენკრანცის სპილენძის ქარხნისა, პარვაიაინენის ქარხნისა, გეძთაშმენი ქარხნისა „ოხტა" და სხვა. სანაპიროზე შეიკრიბა დიდძალი მუშა, რომელიც ქუჩებში გაემართა სარევოლუციო სიმღერებით. პოლიციამ ისინი შეაჩერა. შუადღის 12 საათზე მუშები დაიშალნენ. პოლიციასთან შეტაკება არ მოსულიათ.

ვიბორგის სანაპიროზე გაიფიცნენ მუშები შემდეგი ქარხნებისა—ახალი ლესნერი, ლუდვიგ ნობელი, ბარანოვსკი და სხვ. სამპსონის დიდს. პროსპექზე გაიფიცნენ მუშები ერიკსონის ტელეფონის ფაბრიკისა, პუზირევის ავტომობილების ქარხნისა, ნარვიაიენისა, ახალი აივაზისა, პოდობედოვისა, ეკვალისა და სხვ.

აქ შუადღის 12 საათზე გამართეს მანიფესტაცია, რომელშიაც 2000 კაცი იღებდა მონაწილეობას. მანიფესტანტებმა კონიგის ქარხანას მიაღწიეს, აქ მათ პოლიციელები გადაეღობნენ წინ და უნდოდათ ზოგიერთი პირი დაეტუსაღებინათ, მაგრამ მანიფესტანტებმა ნება არ მისცეს. მუშებმა განაგრძეს მანიფესტაცია ფინლანდიის რკინის გზის სადგურამდე. მანიფესტანტები მხოლოდ ცხენოსანმა დარაჯებმა გაფანტეს. დაატუსაღეს რამდენიმე კაცი.

პეტერბურგის მხარეს 10 საათზე გაიფიცნენ ძმ. ლეონტიევების ჩითის ფაბრიკის მუშები. ფაბრიკის ადმინისტრაციამ გააფრთხილა ისინი, დაგსჯითო, მაგრამ მუშებმა ამ გაფრთხილებას ყური არ უგდეს. აქვე გაიფიცნენ მუშები სტრუკის ფაბრიკისა, დუბროვსკის საავეჯო ფაბრიკისა, ტიულის ფაბრიკისა, რუსეთ-ამერიკის საზოგ. ქარხნისა, „ძველი აივაზისა", გამაიუნისა" და მრ. სხვ. ქარხანა „ვულკანში", სადაც 900 მუშა გაიფიცა, გამოაცხადეს, რომ ქარხანა განუსაზღვრელი დროთი იხურება და ანგარიშის გასწორების დღე ცალკე იქნება გამოცხადებულიო.

მოსკოვის გზაზე საფრანგეთ-რუსეთის ქარხნის 4000 მუშა გაიფიცა. იმათ მიჰყვნენ რეჩკინის ვაგონამშენი ქარხნის მუშები, საერთაშორისო საძილო ვაგონების სახელოსნოები, ოდნერისა და სხვ. აქაც უნდოდათ მანიფესტაციების გამართვა, მაგრამ პოლიციამ ისინი ჩქარა გაჰფანტა.

ნარვის გზაზე პუტილოვის ქარხანასთან პოლიცია სდარაჯობდა. სახელოსნოებში დილითვე მუშები მღელვარებდნენ. ეგონათ, რომ სადილის შემდეგ მუშაობას შესწყვეტენო, მაგრამ მუშებმა ამ დღეს მონაწილეობა არ მიიღეს გაფიცვაში, და მუშაობა განაგრძეს. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს ტილმანსის ქარხნისა, ლანგენზიპენის მექანიური ქარხნისა, „სიმენს-გალსკესი", ზიგელისა და სხვა მუშებმა.

ნევის გზაზე გაიფიცა 4000 მუშა ნევის გემთ-ამშენი ქარხნისა. მუშები მშვიდობიანად დაიშალნენ.

სხვა უბნებში გაიფიცნენ მუშები მელცერის ფაბრიკისა, ყუმბარების ქარხნისა, პეკლიეს სამღებრო ფაბრიკისა, სამპსონიევის საზოგადოების ბრეზენტის ფაბრიკისა, რუსეთ-ბალტიის ქარხნისა, ვეგმანის არმატურის ქარხნისა, ქარხნებისა—კრუგისა, ილისისა, მარტენსისა, „ელექტროტეხნიკისა", ოფენბახერის ფაბრიკისა, ბოგდანოვის სათამბაქო ფაბრიკისა და მრ. სხვ.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში მშვიდობიანობა იყო. გაფიცულთა საერთო რიცხვი 90 ათასს კაცს უდრიდა. აქედგან წვრილი წარმოების მუშები 15000 კაცი იყო.

## პატარა ფელეტონი

### სიცოცხლე

**შარლ ბოდლერისა.**

...ბნელი ფიქრები, მძიმე ფიქრები...

ჩემს წინ ქალი სდგას, მშვენიერი, ვით საიდუმლო ოცნება, როგორც ღვთიური ზეშთაგონება. ნაზი ბურუსით შებურვილია: ეს ჩემი ცოდვილი ფიქრები ეფარებიან ჩემს თვალებს, და არ შემიძლიან მისი სახე კარგად გავარჩიო.

გული მტკივა, ლოდივით რაღაც მაწევს...

მინდა მივიდე ამ ქალთან, მსურს ვკითხო: ვინ არის? ვინ უყვარს? ვის შეუძლიან მისი სიყვარული? მინდა კიდევ ბევრს რამეზედ ველაპარაკო... მაგრამ საზარელი რაღაცა ჰბოჭავს ჩემს მოძრაობას. ბაგეთა ჩემთა დუმილის ბეჭედი დაედვა,— დახლა ვხრი თვალებს, რომელთაც ვერ შეუძლოს ამ მწვავი სილამაზის ბრწყინვალებას.

რად არას აქა? რა უნდა ჩემგან? რად არის იგი ასე ლამაზი, და რად მეყინება ძარღვებში სისხლი?!.

...და მესმის ხმა—მკვეთრი, ვითარცა ქარიშხალი, ნაზი, როგორც პირველი სიყვარულის საგალობელი, მდრტვინავი, როგორც უსაზღვრო ოკეანეს ტალღა... მესმის ხმა,—იგი მხიბლავს, მაგრამ მასში გამოისმის წყევლაც, და იგი ირეკს, როგორც ქხარი, ჩემს ყურებში:

— მე ვარ სიცოცხლე! ვარ მშვენება! ჩემთან მოდი, სიკვდილის შვილო; ჩემს მკერდზედ დაგავიწყდება სიკვდილი, უბედურება, და იქნები ბედნიერი, როგორც მარადის ქაბუკი ღმერთი, მოდი ჩემთან!.. მე მოგცემ სიტკბოს, ვნებათა ღელვას,— ჩემი იქნები, შენ მეყვარები... იყავ ბედნიერ... ჩემთან მოდი...

და ღიმი უთამაშებს ბაგეზე. მარგალიტი—რა საბრალოა იგი მისი კბილების ელვარებასთან შედარებით, რა დაიმათრობელია ღიმი, და რამდენს სიტკბოებას ჰპირდება მაღლა მდელვარე მკერდი...

ვსუსტდები. მზად ვარ წავიქცე... ნაბიჯს ვსდგამ მისკენ.

— მე მდიდარი ვარ,— ჩამჩურჩულებს იგი:—ჩემი კაბა სამხრეთის ცისგან მოქსოვილია, და სპეტაკ ცხრებსაც ბრილიანტის ვარსკვლავები მიმშვენებენ... ჩემთან მოდი,—და იყავ ბედნიერ!.. სიყვარული ჩემი—სამოთხეა... მთელი ბუნების სილამაზით ანარეკლი ვარ... შემიყვარე,—და შენ გაიგებ ცხოვრების საიდუმლოს... მხოლოდ გიყვარდე!... უკუგდე ეგ მძიმე, ბნელი ფიქრები: რად გინდა უბედურება, როცა ბედნიერება გიღიმის!

მე კი ვყოყმანობ...

— ოჰ, ნუ ცხიბლავ,—ნუ გარდამიშლი თვალთ წინაშე შენს მშვენიერს სურათებს!.. მოკვდები, და ნეტარებას ვერ ვიგემებ, ვერ შევიცნობ ცხოვრების საიდუმლოებას... რადა ხარ, სიცოცხლევ, ასე ლამაზი, რაზედ მპირდები მაგდენს სიკეთეს?!. ჩემი ცთომილი აზრი მზად არის ერწმუნოს შენს სიტყვებს, შენი სულთქმა მწვავს... მაგრამ იქა შორს მესმის კვნესა და ტანჯვის ხრიალი... ოჰ, სიკვდილი ჩქარა შეგეცილება ჩემს თავს; სიცოცხლევ, მშვენიერი ხარ! მაგრამ ღმერთმა შენ სიკვდილის შვილებისთვის კი არ შეგქმნა, რადგანაც შენი შეყვარება კაცს დაუსჯელად არ შეუძლიან.

ვუმზერ თვალებში.

ნისლი, რომელიც მას ჰბურავდა იფანტება: მისი სილამაზე უფრო ნათლად ბრწყინავს, ვინემ ვარსკვლავები ზამთრის მყინავ ღამით, როგორც ცეცხლი, ისე სწვავენ მისი ვნებითა და საიდუმლოებით ალვსილი თვალები.

და მზად ვარ ღვთიური ქალის ფეხთა წინაშე განვირთხე და შევღაღადო: მიყვარხარ, ლამაზო. დე მოხდეს, რაც მოსახდომია.. ნუ თუ ეს სულ ერთი არ არის?.. შენთან მოვდივარ,—მინდა მივეცე თავდავიწყების და ჰმუნვის დაღი უკუვაგდო...

მაგრამ ჰქრთება სახება,—და ლამაზის მომხიბლველი ღიმილის ნაცვლად გამხმარი კენჩხა კბილებს ურცხვად აკრეჭს...

შესაზარია... გავურბი ამ საშინელ ჩონჩხს და დონემიხდილი მიწაზედ პირქვე ვემხობი... და აშმორებულ სულთქმასთან მესმის ნაზი ხმა:

— ჩემთან მოდი, სიკვდილის შვილო... მშვენიერი ვარ და მიყვარხარ...

**გ. ნამორაძე.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**28 აპრილი**

### უცხოეთი.

**ბრაუნშვეიგი.** იმპერატორი ვილჰელმი მეცში წავიდა.

**ისპაჰანი.** შირაზის გზაზე ყაჩაღობა გავრცელდა. ყოველ დღე ცნობა მოდის ქარავნების გაძარცვის შესახებ.

**კატანია.** მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვი 60 კაცია. ცხლო-მახლო ადგილებში მიწა კვლავ იძვრის.

**ხუარეცი.** ტომპიკის ახლო გაცხარებული ბრძოლაა. ქალაქ ვერაკრუცის ნაწილს ცეცხლი უკიდია. ტამპიკოში საჩქაროდ გაემართა ინგლისის ჯავშნოსანი.

**ბერლინი.** გერმანიის ბანკირთა სახლების წარმომადგენლების კრებაზე გადასწყვიტეს გერმანიის ბანკირთა სახლების კავშირის [illegible] ნონ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ცნობით პალატაში არჩეულია: 68 პროგრესისტი, 73 მემარცხენე რესპუბლიკელი, 52 რადიკალი, 28 უკიდურესი რადიკალ-სოციალისტი, 174 შეკავშირებული რადიკალ-სოციალისტი, 33 რესპუბლიკელი სოციალისტი, 102 შეერთებული სოციალისტი, 1 სოციალისტ-რევოლუციონერი. ოფიციალური სხვა ცნობის თანახმად: 81 რეაქციონერი, 59 პროგრესისტი, 31 მემარცხენეთა ფედერაციის წევრი, 60 მემარცხენე რესპუბლიკელი სოციალისტი, 236 რადიკალი და რადიკალ-სოციალისტი, 30 რესპუბლიკელი სოციალისტი, 102 შეერთებული სოციალისტი. გამოჩენილ მოღვაწეთაგან, რომლებიც წინა პალატას ეკუთვნოდნენ არ აირჩიეს— მონტებელლო, დე-ლონკლი, ბიუისონი, ლერუა, ოლიე, ლეგანი, რეინაკი, ლანესანი, პოლ ბონკური, რუანე, კოლიო.

**ლონდონი.** ასკვიტმა განაცხადა, მთავრობა ულსტერში იარაღის შემომტანი პირთა წინააღმდეგ სასამართლოს არ მიმართავს, და სხვა ზომებს მიიღებსო.

**ვენა.** დურაცოდან იტყობინებიან, ალბანეთის მთავრობამ და ზოგიერთმა ზომები მიიღეს, რომ ეპირში ნეიტრალური ადგილი დაეწესებინათ მოწინააღმდეგეთა შეტაკების თავიდან ასაცილებლად.

**ვაშინგტონი.** მექსიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა პროტესტი განაცხადა ამერიკელი ჯარის მექსიკის ტერიტორიაზე გადასვლის წინააღმდეგ. ვილსონმა ეს პროტესტი უსაფუძვლოდ იცნო.

**კორფუ.** ეპირისა და ალბანეთის დელეგატების მესამე თათბირი მოხდა. დაწვრილებითი ცნობები არ იციან.

**ვენა.** „კორესპონდენც ბიუროს" ატყობინებენ დურაცოდან, მთავრობას იმედი აქვს კორიცაში 5000 შეიარაღებული შეკრიბოს. კორიცაში გაგზავნეს 12 ტყვიის მფრქვეველი.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ პირველი ხარისხის სათადარიგო ჯარში ჩარიცხულნი სასწავლებლად უნდა დაიბარონ ხოლმე პირველ ოთხს წელიწადს. თუ ვინმემ პირველი და მეორე ვადა გამოტოვა, იმას სულ აღარ დაიბარებენ.

**ფინანსთა სამინისტრომ** შეადგინა კანონ-პროექტი, რომლითაც საკრედიტო წესდების მეოთხე განყოფილების 78 მუხლს, რადგან იგი იპოთეკის ფასიანი ქაღალდებისათვის სახიფათო არ იყო, და ამავე განყოფილების 61 მუხლს სცვლის.

**გილზა.** სამხედრო მფრინავი პიოტროვსკი გილზიდან [illegible] ვერსის სიმაღლეზე ჩამოვარდა. საფრენი დაიმტვრა, მფრინავი უვნებლად გადარჩა.

**პეტერბურგი.** ნება დართეს 1915 წელს პეტერბურგში გამართონ ხუროთმოძღვართა საერთაშორისო კრება.

სალტიკოვ-შჩედრინის 25 წლის სიკვდილის თავზე ქალაქის საბჭომ გადაიხადა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო ლიტერატორთა დეპუტაციები და წარმომადგენლები.

**რიგა.** არჩევნების დროს მოკლული, [illegible]

**კიევი.** ექიმმა—ქალმა ხომიაკოვა-ზუსლოვმა საჯაროდ დაიცვა დისერტაცია და მედიცინის დოქტორობა მიიღო, ეს პირველი შემთხვევაა [illegible] უნივერსიტეტში.

**ხარბინი.** სამხრეთ ამერიკაში გადასახლებულები უკანვე დაბრუნდნენ.

**პეტერბურგი.** სათათბიროში მომხდარ ამბების გამო გაფიცულმა მუშებმა დღეს მუშაობა დაიწყეს. მუშაობა გახსნა და ბევრს სავარჯიშოში, რომლებიც განუსაზღვრელი დროთი იყო დაკეტილი.

## სამღვდელოების კრება

როგორც ვიცით, სამღვდელოების კრება ტფილისში მოწვეული იქნება სექტემბერში. კრების მომწვევი ბიურო მეფის მოადგილის თანაშემწის გოფმეისტერის ნ. ლ. პეტერსონის თავმჯდომარეობით უკვე შეუდგა მზადებას მომავალ კრებისთვის. კრების დებულება და პროგრამა სასინოდოდ [illegible]. მოგვყავს დებულების ზოგიერთი მუხლი: 1) კრება მოწვეული იქნება 5-იდან 10 სექტემბრამდე ტფილისში თანახმად [illegible] სამღვდელო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობისა; 2) კრების მიზანია: აღძრა ინტერესი სამღვდელოთ საქმისადმი, განმტკიცება ხალხის სიმეცნიერო და სამრეწველო მოღვაწეობასთან და [illegible]

---

ვლელი იყო, რადგან საბაბი არ იყო მომატების ან დაკლებისა: თავადიც უცვლელ სამაგიეროს უხდიდა ხიზანს.

6. ჩვენი მთა: პირაქეთ ოსეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მთიულეთი, თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი, საძოვარ-იალაღებით მდიდარი, სახნავ ადგილით მუდამ ღარიბი იყო. დამშეული, უმიწობით გაბეზრებული მთიელი ბარში ჩამოდიოდა ან და ბარის განაპირა მამულზე სახლდებოდა, ხრიოკ, მწირ მამულს აუწერელ ტანჯვით ამუშავებდა, ტყეს გასჩეხდა, ფერდა ადგილს ჩამოასწორებდა, მთელი წლობით როგორმე კუნძებს მიწიდან ამოჰყრიდა და გაუვალ ადგილს საცხოვრებლად აქცევდა. ეს მთიელი ხიზანი იყო იმ მემამულის, რომლის ადგილზე ჩამოსახლდა. მემამულისთვის უმაქნისს ადგილს სარგებელს გამოაღებინებდა, თავისს უმადურ სიცოცხლესაც ცოტაოდენ ლხენითა ჰფერავდა და მემამულესაც ასარგებლებდა. ბევრი ამათგანი უბრალო სახელმწიფო გლეხსავე ეხიზნებოდა, თუ მამულს შეაგულებდა.

7. მეფე ვახტანგის კანონით თავადის უფლება ყმაზე იყო: უსაზღვრო, სასტიკი და შეუბრალებელი. რა ტანჯვაც უნდა მიეყენებინა თავადს გლეხისთვის, უღელში რომ შეება ან ძაღლივით სალაფავი ეჭმია,— გლეხს ნება არა ჰქონდა ეჩივლა თავადზე მეფესთან. ყოველივე საჩივარი გლეხს დანაშაულად ეთვლებოდა.

მაგრამ თავადს ნება არა აქვს გლეხი მოჰკლას. თუ მოჰკლა, მეფის რისხვას იმსახურებს. თუ ღირსია სიკვდილისა—მეფეს უნდა აცნობოს. მკვლელ თავადს გლეხის მემკვიდრე დაკმაყოფილებას (სისხლს) ვერ მოსთხოვს. თუ დაჰრილი გლეხი ისევ თავადთან მოისურვებს დარჩენას— მამული მიეცემა და ისე იცხოვრებს როგორც ხიზანი, თუ წავა და სხვას ეხიზნება—ვერაფერს მოსთხოვს.

8. ზემოთა ვთქვით, რომ მეფე თავადის შინაურ საქმეებში ძნელად თუ ჩაერევოდა, მეტადრე იმისთანა თავადების, როგორიც იყვნენ ამილახვრები და მუხრანელი ბაგრატიონები ქართლში და ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილები კახეთში. ვახტანგის კანონებში ნათქვამი მეფის რისხვის დამსახურება თუ გლეხს მოჰკლავდა, ხშირად ქაღალდზე დაწერილ სიტყვებად რჩებოდა; ამიტომ თავადი თუ ეხლა არ ერიდება გლეხის გაბიაბრუებას, მაშინ უფრო არ მოერიდებოდა. იშვიათი არ იყო ამიტომ თავადის მიერ გლეხის მოკვლა. მოკლული გლეხის ოჯახი ყმობისაგან თავისუფალი იყო, აიყრებოდა აწიოკებული ოჯახი და სხვა მემამულესთან შეიხიზნებოდა. ხშირად აქაც, როგორც შემოხიზნული, დანარჩენებთან შედარებით მეტ გაჭირვებას განიცდიდა. საწყალი გლეხი ამ ჯადოსნურ წრეს წუხილისა და ჩივილისას თავს ვერ ახწევდა და იმ საზღაპრო კაცის საქმე ემართებოდა, რომელიც „საითაც გაიქცა, იქ წაიქცა."

9. თუმცა არა ერთი და ორი დაბრკოლება ჰქონდა გაჩხირული გაყიდულ გლეხს თავი დაეხსნა, მაინც უმცირესობა ახერხებდა თავის დახსნას. დედამამისგან გაყიდული შვილები, თუ გამოისყიდიდნენ თავს, თავისუფალნი იყვნენ. ეს თავისუფალი კაცი ეხიზნებოდა თავადს და დღეს თუ არა ხვალ იქნებ იმ უღელში ჩაბმულიყო, რომელსაც დიდის წვალებით თავი დააწია.

10. დიდი უმრავლესობა გლეხობისა ბატონ-ყმობის მძიმე უღელს მოთმინებით ატარებდა. „ალბად ესეთი ბედი და ყისმათი გვწერებიაო"— იტყოდნენ. შერიგებულნი იყვნენ თავის უბედობასთან. მაგრამ გამოჩნდებოდა რომელიმე ძველი არსენა ან კაკო, რომელნიც გაექცეოდნენ ამ ძაღლუმადურ ცხოვრებას და გადიხვეწებოდნენ. ბატონყმობაში სიცოცხლეს თავისუფლებაში სიკვდილს არჩევდნენ. გაქცეული ყმა უფრო ახალგაზრდა იყო, რადგან მონობა, ტყვეობა, ნორჩ გულს უფრო ათანაღრებს, ჰსუსხავს.

ვახტანგის კანონით გაქცეული ყმა 30-წლის შემდეგ თავისუფალი იყო. მაშასადამე მთელი 30 წლიწადი დევნილისა და შეჭირვებულის სახელი უნდა ეტარებინა და მხოლოდ მოხუცების ჟამს ჰღირსებოდა თავის მიწა-წყალში სიკვდილი.

30 წლის შემდეგ გაქცეულ ყმას, ბატონისგან განთავისუფლებულს, მაინც ხიზნობა ეწვეოდა, რადგან საკუთარ მამულს მოკლებულს მიწა სჭირდებოდა.

აი, ამ ათგვარ მიზეზიდან ერთი მაინც იქნებოდა გლეხის გახიზნებისა.

ზემო ნათქვამიდან დანასკვის გამოტანა შეიძლება: გლეხს მიწა სჭირდებოდა, მემამულეს ჰქონდა მიწა. ამ მიწაზედ სახლდებოდა სამუდამოთ გლეხი და ერთნაირ ხარჯის გადახდით მემამულის სასარგებლოდ ამუშავებდა. ქვემოდ მკითხველი დაინახავს, რომ გადასახადი ხიზნისა უცვლელი არ იყო, როცა მოეპრი" ანებოდა ბატონს, მაშინ მოუმატებდა ან დაუკლებდა.

**ივ. ქარბელაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

გამორკვევა სატეხნიკო, საორგანიზაციო და საფინანსო დაბრკოლებათა, რომელსაც განიცდის სამელიორაციო საქმე კავკასიაში, შემუშავება შესაფერ ღონისძიებათა და ხელის შეწყობა სამელიორაციო ორგანიზაციათა განვითარებისათვის; 3) კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ კავკასიის ყველა გუბერნიას და ოლქსა, 4) კრების წევრობა შეუძლიანთ: სამელიორაციო საქმეში დაინტერესებულ მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, სამელიორაციო საქმის სპეციალისტებს, საერობო და საქალაქო მოღვაწეებს, მთავრობისა და ერობის აგრონომებს, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორებს, ტეხნიკოსებს, სოფლის მეურნეებს, კოოპერაციათა წარმომადგენლებს, კერძო პირთ, რომელთაც რაიმე პრაქტიკული ან სამეცნიერო დამოკიდებულება აქვთ სამელიორაციო საქმესთან, სავაჭრო-სამრეწველო ფირმების წარმომადგენელთა და სხვებს; 5) კრებაში მონაწილეობის სურვილი უნდა განუცხადონ ბეუროს 1 სექტემბრამდე, 6) წასაკითხი მოხსენებანი ბიუროს უნდა წარედგინოს 1 ივლისამდე და სხვა.

კრების პროგრამაში ექვსი მუხლია: 1) სამელიორაციო სატეხნიკო, 2) სამელიორაციო-სააგრონომიო, 3) სამელიორაციო-სატყეო-საწყლო, 4) სამეცნიერო, 5) ბუნების ძალთა მოხმარებისა და 6) საორგანიზაციო.

კრების მოსაწვევად ჯერ-ჯერობით გადასდეს: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ—150 მან. და მეფის ნაცვლის საბჭომ 2,000 მან. ბიუროს აღძრული აქვს შუამდგომლობა აგრეთვე სხვა დაწესებულებათა წინაშე ფულის გადადების შესახებ.

ბიურო ამ ჟამად დაყოფილია ექვს სექციად. თვითეულ სექციის ხელმძღვანელნი უკვე არჩეულნი არიან. სექციები წინასწარ მუშაობას უკვე შეუდგნენ. 5 მაისისთვის დანიშნულია ბიუროს კრება, რომელიც მოისმენს სექციათა მოსაზრებათ წინასწარ სამუშაოების განაწილებისა და შესრულების შესახებ.

საორგანიზაციო ბიურომ დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, რათა ბიუროს განყოფილებანი დაარსონ მათდამი რწმუნებულ გუბერნიებსა და ოლქებში.

ბიურო ყოველთვე ჰსცემს საგანგებო ბიულეტენებს, სადაც მოთავსებულია როგორც ცნობები ბიუროს მუშაობის შესახებ, ისე სპეციალური წერილი სამელიორაციო საქმის შესახებ.

## სამეურნ. თათბირი მარტყოფში

(დასასრული*)

თათბირი საღამოთი კვლავ განახლდა. დაესწრნენ ადგილობრივ კომიტეტში დასახელებული პირნი და ადგილობრივი ინტელიგენტნი. კრებაზე განხილულ იქმნა ის საკითხები, რომელიც დილის კრებაზე იყო წამოყენებული. აღნიშნულ იქმნა სოფლად მუშაობის სიძნელე ხალხის მეუგნებლობისა, ინტელიგენტთა უთანხმოებისა და სხვა მიზეზთა გამო. ზოგიერთი ინტელიგენტი, როგორც აღნიშნეს კრებაზე, არამც თუ ხელს უწყობს ადგილობრივ კეთილ საქმეებს, პირიქით ხელსაც უშლის: დასახელებული იყო რამდენიმე სამწუხარო მაგალითი. ამავ კრებაზე აღნიშნულ იქმნა, თუ რამდენად უშლის ხელს კერძო პირთ მეურნეობის გაუმჯობესებაში დღევანდელი უწესრიგებლობა მინდორ-საძოვრებისა, მეცხვარეების მიერ ყანახულის წახდენა, ქურდობა და სხვა.

18 აპრილს, დილით, კარგი ამინდი დადგა. ამ დღეს მოხდა გუთნებისა და ფარცხების გამოცდა, რომელსაც 300-დე კაცი დაესწრო. აქ იყვნენ როგორც ადგილობრივი გლეხობა, ისე შემდეგი სოფლებიდან მოსულნი: ნორიოდან, ახალ სოფლიდან, დიდ და პატარა ლილოდან და სხვა. ხალხი დიდის გულმოდგინებით ათვალიერებდა გუთნებს და თვალყურს ადევნებდა მათს მუშაობას. გამოსაცდელად იყო აგრეთვე ქართული გუთანი ხისა. ამ გუთანს ადარებდნენ სხვა გუთნებს. უცხო გუთნებში გლეხებს უფრო ის გუთნები მოსწონდათ, რომელნიც დაახლოვებით იმავე სიგრძე-სიგანეზე ხნავდნენ, როგორც ქართული ხის გუთნები. ზოგიერთი გუთანი გლეხებს ისე მოეწონათ, რომ იქვე, მინდორშივე, მოურიგდნენ ფირმის წარმომადგენელს და იყიდეს. დანარჩენი მოწონებული გუთნები: ფლეტერისა, ზეხერისა, ორსახნისიანი გუთანი აქსაისა დატოვებულ იქმნა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების საწყობში გასასყიდად. გუთნების გამოცდა საღამოს 6 საათამდე გაგრძელდა.

19 აპრილს ქართულ სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორმა ალ. კახელაძემ ხალხს უჩვენა სეპარატორის მუშაობა, კარაქისა და ყველის მომზადება. მუშაობის დაწყებამდე ხალხს განუმარტა, თუ რა უპირატესობა აქვს სეპარატორის ხმარებას მეძროხეობაში და რამდენს ჰკარგავს მეურნე, რომელიც არა ხმარობს ამ მანქანს და რძეს ნაკლებს ჰხდის ძველებურ წესით ორჯამიანებით. ხალხს აჩვენეს აგრეთვე ცხვრის საპარსი დუქარდები (ინგლისური), რომელიც ხალხმა მოიწონა და რამდენიმე ცალი კიდეც იყიდა. აჩვენეს სხვა და სხვა კოპტონის და ვაშლის ნიმუშებიც, რომლის შესახებაც დაწვრილებით უხსნიდა ვ. ი. რცხილაძე.

ამის შემდეგ გაიმართა თათბირი, რომელზედაც სხვათა შორის, ახალსოფლელების მიერ წამოყენებულ იქმნა საყურადღებო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმარონ ის შემოსავალი, რომელსაც იძლევა ყორულები სამგორზე, ზომით 400-დე დესეტინა. ახალსოფლის წარმომადგენელმა კოლა ელიავამ გამოსთქვა სურვილი, რათა ამ შემოსავლით დაარსდეს სკოლა, რომელთანაც მოეწყობა ფერმა მეძროხეობა-მესაქონლეობის შესასწავლად და სამაკებელი პუნქტი ჯილაგიან ბუღების აღსაზრდელად. კრებამ ამ საქმის განხორციელება სასურველად სცნო, რადგანაც ასეთი ფერმა დახმარებას გაუწევს არა მარტო ახალსოფელს, არამედ მთელს ივრის ხეობას. ახალსოფლელებმა ვ. ი. რცხილაძეს სთხოვეს ამ საკითხის გამოსარკვევად მათ სოფელში საგანგებოდ მისვლა. ბ-ნმა რცხილაძემ თანხმობა გამოაცხადა.

ამის შემდეგ ხალხს უჩვენეს მათ თვალწინ დამზადებული კარაქი და ყველი. დასასრულ უჩვენეს სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები, რომელიც სოფლის მოედნიდან აუშვეს.

ამით დასრულდა თათბირი და იარაღ-მანქანათა გამოცდა მარტყოფში. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს, რომ ასეთი თათბირები და გამოცდანი ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიც გამართოს.

*) იხ. „სახალ. გაზ." № 1173.

## გვირილობა თელავში

ეს მეორე წელიწადია თელავშიაც იმართება გვირილობა. წელს 22 აპრილს გაიმართა. დილიდანვე ქალები დადიოდნენ წინ და წინვე მათდამი მიჩენილ ქალაქის ნაწილებში და ბეჯითად ჰყიდდნენ გვირილას. საეირნო ბაღი კოხტად მოერთოთ მწვანით, იელით და ყუმაშებით. დილით ყაზახები უკრავდნენ სამხედრო მუსიკას, საღამოთი სამოქალაქო სასწავლებლის შეგირდები. ამინდმა ცოტა უღალატა, საგრძნობლად ციოდა. მართალია, შუადღის უკან მზემ გამოანათა და ხალხიც გამოიშალა, მაგრამ საღამოთი წვიმა წამოვიდა და ყველამ სახლებს მიაშურა.

კვირა დღეს 20 აპრილს საკრებულო დარბაზში ექიმებმა ჭლექის შესახებ ლექციები წაიკითხეს. ბ. ხირსელმა ქართულად, ბ. ავალიშვილმა—რუსულად. ორივე ლექციას ერთი და იგივე საზოგადოება დაესწრო.

ლექცია და რაიმე საკითხის გაცნობა უმთავრესად საჭიროა მისთვის, ვინც ამას საჭიროებს. ქართულ ლექციას შესაფერი აუდიტორია სრულებით არა ჰყავდა. ეს ლექცია მოისმინეს ინტელიგენციას იმ ნაწილმა, რომელმაც ისედაც კარგად იცის მისი მნიშვნელობა, სხვა არა იყოს რა ჟ.-გაზეთებში ამოუკითხავს. მხოლოდ რაც შეეხება მდაბიო შეუძლებელ მცხოვრებთ, არც ერთი მათგანი ვერ შევნიშნეთ დამსწრეთა შორის. ამ უკანასკნელთა რიცხვი დიდია თელავში, ქალაქის განაპირა უბნებს, მხოლოდ ესენი შეადგენენ, ამათ შორის ჭლექით ავადმყოფობაც დიდია, რომელიც უფრო მრავლდება, სიღარიბის, უწამლობის და შეუგნებლობის გამო.

აი ვის უფრო ესაჭიროება ლექცია, ახსნა-განმარტება და დარიგება. მაგრამ ასეთ ლექციას ჩვენში პირველად კითხულობენ და იმედია ეს ნაკლი შემდეგ შეივსება.

წელს მეტი ყულაბები იყო დარიგებული და გვირილაც ბევრი დაამზადეს. ყულაბები სოფლებშიაც გაგზავნა ფულის მოსაკრეფად. შარშან ორმოც თუმნამდე შეჰკრიფეს, წელს ამაზე მეტი იქნება. დღესასწაულს ჰხელმძღვანელობდა ქ-ნი პოზოევისა.

დავიწყებული.

## მოწერილი ამბავი

**სოფ. მეტეხი.** დიდი ხანი არ არის, რაც აქ მომხმარებელთა საზოგადოების მაღაზია გაიხსნა. ამ დაწესებულებამ დასცა უზომო მადა აქაური მოვახშე-ვაჭრებისა, რომელნიც მამასისხლად ჰყიდნენ ყველაფერს. მომხმარებელთა საზოგადოება დიდ შეღავათს აძლევს ყოველ ხელმოკლე გლეხკაცს: ვისაც პური ან სიმინდი სჭირდება—აქედან სესხად მიაქვთ. ამით სარგებლობენ არა მარტო მეტეხელები, არამედ ახლო-მახლო სოფლებიც და მთიულებიც, რომელთაც წრეულს ნაკლები მოსავალი მოუვიდათ. ამ საზოგადოების მოთავენი თ-დი მ. მაღალაშვილი და კაციაშვილი (ყოფილი დეპუტატი) დიდ ენერგიას იჩენენ ამ საქმეში. ერთ დროს დიდ როლს ითამაშებს ეს დაწესებულება ამ მხრის ეკონომიურ ცხოვრებაში; ახალქალაქელ ჩარჩებს დააღწევს თავს აქაური გლეხკაცი.

აქაური.

## უცხოეთი

### გერმანია და საფრანგეთი.

**ბერლინი.** ხმა გავრცელდა, ელზასის მთავრობამ ელზას-ლოტარინგიაში მცხოვრებ ყველა ფრანგ მოქალაქეს წინადადება მისცა, სამი თვის განმავლობაში მოაწესრიგონ თავისი საქმეები. ამბობენ, ფრანგებს საერთოდ აეკრძალებათ ელზასში ცხოვრებაო. მაგრამ აქაურ პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, ეს ზომა ალბად ზოგიერთ პირს ეხებაო.

### ალბანეთი და ეპირი.

ათინიდან იტყობინებიან, რომ ეპირელები სულ მოკლე ხანში საერთო იერიშს მიიტანენ გიორჩაზე. ეპირელები თითქმის ყველგან იმარჯვებენ. აქაურ პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ ალბანელებთ მოხალისეთა ცალკე რაზმებთან კი არ აქვთ საქმე, არამედ სტრატეგიულ გეგმასთან, რომელსაც კარგად გაწვრთნილი ჯარი აწარმოებსო.

**ბერლინი.** ალბანეთიდან ფრიად საყურადღებო ცნობები მიიღეს. 10,000 ეპირელი არტილერიითა, ტყვიის მფრქვეველებით ბერაგუსაკენ მიემართებიან. ამ სიმაგრის აღების შემდეგ ისინი ადვილად გადავლენ დურაცოსაკენ. ალბანეთის მთავრობას არ ძალუძს ჩააქროს ამბოხება. თურხან-ფაშამ ევროპის კაბინეტებს მიჰმართა თხოვნით, შეადგინოს საკანტროლო კომისიები და ეპირელებთან მოლაპარაკება გამართოს.

## თეატრი და ხელოვნება

**ზუბალაშვილის სახლი.** პარასკევს, 2 მაისს, სახალხო სახლთან მმართველი წრე ქართული წარმოდგენებისა ჰმართავს წარმოდგენას თვის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ, ეს წარმოდგენა სათანაგრძნობელია. წრე უანგაროდ და მუყაითად მუშაობს მდაბიო ხალხის საკეთილდღეოდ. სახალხო წარმოდგენები აუარებელ ხალხს იზიდავს, მაგრამ, რადგან ფასების სულ მცირე შემოსავალი არა კმარა ხარჯის გასასტუმრებლად, ამის გამო წრე იძულებულია მიჰმართოს სხვა და სხვა საშუალებას. ერთი ამათგანია ფასიანი წარმოდგენის გამართვა.

ამ საპატიო მიზეზის გარეშე,—ეს წარმოდგენა მეტად საყურადღებოა იმითაც, რომ დადგმული იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი", რომელიც სახალხო სახლში იშვიათი ანსამბლითა და მოწყობილობით იდგმება. იმედია, საზოგადოება ხელს შეუწყობს წრის საპატიო და საგულისხმიერო განზრახვასა და დაესწრება ხსენებულს წარმოდგენას.

კოლექტივი.

**საზოგადო საკრებულო.** (აბასაბასი ქუჩა). დღეს, 30 აპრილს, საზოგადო საკრებულოში დანიშნულია საეგზამენო კონცერტი ს. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვის სასიმღერო კურსებისა. სხვათა შორის ამ კურსებზედ სწავლობენ სიმღერას ჩვენი ახალგაზრდა მომღერლები-ან. აღლაძე და დავ. ლეჟავა.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

**ვარდის ფერი ბროლის საპონი.**



ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ნაზი ხდება. ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711". ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულგენსისა. ნაჭერი 25 კ. პარფიუმერია კელნი, რიგა. Метцль. 547912. 1020

## მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

### ტფილისიდან გადის:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

**ბაქოსაკენ:** ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. შუაღამ.; სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დილ.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; საფოსტო № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

**ბათუმისაკენ:** ნარევ. № 21—2 ს. 59 შუაღამ.; სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; საფ. № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

**ბორჯომისაკენ:** სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

**მცხეთისაკენ:** საავარაკო № 61,—8 ს 13 წ. დილ.; საავარაკო № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

### ტფილისში მოდის:

**ბათუმიდან:** ნარ. № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; ჩქარი № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; საფ. № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

**ბაქოდან:** ნარევი № 21,—2 საათ. 17 შუაღამ.; სამგზ.-საზარგ. № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; სამგზავ. № 7,—1 ს. 42 წ. დღით, ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; საფ. № 3,—8 ს. 58 წ. დილ.

**ბორჯომიდან:** სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; სამგზავ. N 19/20,—7 ს. 25 დილ.

**მცხეთიდან:** საავ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; საავ. № 63,—8 ს. 48 წ. საღ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მიხაილის**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ველიამინოვისა**—კახეთის ქ. 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები ვალდებულნი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | გ. ა. გედევანოვი (სიონის ვერა.-ე, თელავის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | მ. ი. შავერდოვი (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | ტ. მ. თათეოსიანი (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | ბ. ლ. კიკნაძე (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27). |
| 8—9 | ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი (გოლოვინის ქ., № 23). |
| 10, 11—12 | ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985). |

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. ფომინა-თხილთვებისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქალანთაროვი (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ს. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათაძეიშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 გ. ა. მარაქოვი (მიხეილი. პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**ვასწავლი ქართულ „სიმღერა-გალობას"**

და ვამზადებ მომღერლებს დიდ გუნდისთვის, სამშ, პარასკ. 5—7, მუშებისათვის კვირაობით 3—5 ს., ავჭ. ლ. ქუჩა, № 29. მიღება და ჩაწერა მიხ. კავსაძესთან. 1180

**ყველგან მოითხოვეთ „ამაზმორინ"-ი,**

უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა

**ა. ე. ისააკიანცისა.**

ეს ფხვნილი ყოვლად უვნებელია. საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს. ფასი 20 კ.

**საწყობები:** ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 219

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს) ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ: „606" და „914"

11—12 ს. მ ე ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ალიხანოვი: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. პ პანასიუკი: 10—11 ს. საპეზიო, ქალებისა ... ბავშვებისა.

ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეკტაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. ... : 12—1 ს. შინაგანი, ავადმყ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. ბ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი ს:

მ. გ. ბეკტაბეგოვი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1071

**გონორეის წინააღმდეგ (ხუსუნატი) ახალი წამალი „SALO პირილინ"-ი,**

მოქმედებს სწრაფად და არსებითად, ექიმების აზრით, რაციონალურ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფებში. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა და ღირს თითო 1 მ. და 1 მ. 80 კ. ერთნაირად კარგად მოქმედებს გაძნელებულ და ქრონიკულ ავადმყოფობის დროს და მოკლე ხანში აჩერებს ძლიერს მდინარეობას.

Депо: Петербургъ, разъѣжая, № 7, аптека Б. Конгейма.

ისყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. 1160

**ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თხზულებანი

**გიუ-დე მოპასანისა**

ტომი 1, ფასი 1 მანეთი.

**სრული სამზარეულო**

შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40 კ. მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, типографія Сорапанъ М. Гачечиладзе. 1161

**თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

10 ფოსტის განყოფილების ძვიშ, საკუთარ სახლში.

**იყიდება იმავე ხარისხის საქონელი,**

როგორც პუშკინის ქუჩაზე. 1081

**ალსასრული ადამიანის ტანჯვისა სუსნელის წამლობა.**

4 წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი" გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო საბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნელის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი"-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ"-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდ"-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნელი რომ არ მოირჩენილიყოს, ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამკვირიანი წამლობა საკმარისია სუსუნელის მოსარჩენად, და „რაპიდ"-ის შეწყვეტამდე სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნელის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფს, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ"-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლითონის სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდის" ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ვუგზავნები ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დავუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა.**

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ შეიძინა რა მას ჩემი „რაპიდ"-ის ორი ფლაკონი, სუსუნელის წინააღმდეგ, თავდები ვარ; რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო" (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.

წერილი მე-3. მ. ს. ბ. დელამური! მოგახსენებთ, რომ ასე დიდხანს ვდუმდი წამლობის შედეგზე საქმე ისაა, რომ წამლობის დასრულების მე-6 დღეს ექიმი იკვლევდა შარდს სამის საშუალებით. შედეგი სინჯვისა მეტად არა ვსთვლი მოგახსენოთ, რომ ექიმი განსცვიფრდა „რაპიდ"-ს ძალით, და რომ უფრო მეტად დარწმუნებულიყო მთხოვა, შარდი ერთი თვის შემდეგაც მიმეტანა. ამ ხნის განმავლობაში ბევრს მაგარ სასმელს ვსვამდი. 16 დეკემბერს მეორედ გამოიკვლიეს შარდი 10—საათამდე ხოლო 17-ს კი გამომიცხადა შემდეგი: ვერც ერთი გონოკოკი ვერ აღმოვაჩინეო. ექიმმა მიხალევმა თქვენი მისამართი გამომართვა. სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ ცოცხალი დავრჩი, თქვენის წყალობით. ამის გამო გთხოვთ გაზეთების საშუალებით გამოაცხადოთ, რომ მხოლოდ თქვენის წყალობით გადავრჩი სიკვდილს. ამასთანავე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, რომ ვინც პირველით იტანჯება იმის ყურადღება მიაქციოთ. ქვეშ ასე მოეწერა: ნ. ი. კ. კოლუმანი. მოიხსენიეთ, რომ ჩემი ნამდვილი მისამართი შეგიძლიათ დაუსახელოთ ყველას, ვინც აქვს შეღავათს და მოთხოვნილებისამებრ ზოდ ვარ ჩემი აზრი გავუზიარო.

ფასი 2 ორმაგი ფლაკონისა (სრული წამლობის კურსი) 8 მან.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3 მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

ტფილისში ჩემს წარმომადგენელს ა. ბოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ., № 18, სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდას ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით მ. დელამური, მოსკოვი, ნეგლინის მისახვ. № 14, ბინა № 5. 241

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.